4
ქ-73

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ეკატერინე ქრისტინაშვილი

რიტორიკული ტროპების ლინგვოკულტურული და ეთნოსემნატიკური პარამეტრები, ირონია (გერმანული და ქართული ენობრივი მასალის მიხედვით)

10. 02. 10 – ენა და კულტურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანულ-გერმანიკული ფილოლოგიის კათედრაზე.

მეცნიერ-ხელმძღვანელები: 1) **ჰელგა კოტჰოფი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ფრაიბურგი)
2) **შოთა შაბურიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1) ცისანა გოგლიჩიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.04)
2) ზექალაშვილი რუსუდანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (10.02.01)

- 2086 -

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის „18" მაისს 14 საათზე.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის P. 10.01. №1 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში.

მისამართი:0162, თბილისი, ქ.ჩოლოყაშვილის გამზირი №3
დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, 0162, თბილისი, ქ.ჩოლოყაშვილის გამზირი №3.

ავტორეფერატი დაიგზავნა „15" აპრილს 2006 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
პროფესორი ლ. გვასალია

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Сарчадзе

- 2086 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება სტილის ფიგურებს როგორც კაზმული სიტყვიერების და ელოკუციის ერთ-ერთ სახეობას - რიტორიკულ ტროპებს და წარმოადგენს მისი როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენის ტიპოლოგიზაციის, ეთნოსემანტიკური პარამეტრების დადგენისა და ტერმინოლოგიური დაზუსტების ცდას ორი ენის – გერმანულისა და ქართულის მონაცემების საფუძველზე. განისაზღვრა ენობრივ სინამდვილეში მათი სუბსტიტუციის ადგილი და ფუნქცია.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია გადაიჭრას დღემდე დაუზუსტებელი და სადავო სტილის ფიგურების სახელის, საზღვრების, დაყოფისა და მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხები. სტილის ფიგურების კლასიფიკაციის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბების გზით, ვცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ რიტორიკული ტროპების ზოგადი მასშტაბების გათვალისწინების გარეშე არ მოხერხდებოდა მათი მრავალმხრივი ბუნების ინტერდისციპლინარული კვლევა, არასრულყოფილი და ცალმხრივი იქნებოდა ცალკეული ტროპებისა და ფიგურების ანალიზი და, რაც მთავარია, გართულდებოდა **რიტორიკული ტროპების როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენის სწორი განსაზღვრა.**

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა განაპირობა იმან, რომ რიტორიკული ტროპები როგორც სიტყვაკაზმულობის მაღალეფექტური კონვენციონალიზირებული ენობრივი საშუალებები ვერ იქნებოდა ადეკვატურად შესწავლილი და ფუნქციური თვალსაზრისით გაგებული, თუ მათი კვლევის პროცესში არ იქნებოდა გათვალისწინებული ენობრივი აქტივობის ამსახველ ცნებათა მთელი სისტემა – სიგმატური, სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატული ცნებები.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლედ ჩაითვლება შემდეგი მომენტები:

- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს არის რიტორიკული ტროპების სისტემატიზაციისა და ტიპოლოგიზაციის პირველი ცდა. დავადგინეთ რიტორიკულ ტროპებში აზრობრივი და ენობრივი დამუშავების ფაზების უწყვეტი ხაზი: